# ცნობის ფურცელი

№ 1916 ხუთშაბათი, 5 სექტემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1916

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მირზაშვილისა

ელისაბედის ქუჩა № 25. ყმაწვილებს მიიღებენ 1-ლ ენკენისთვიდან. (10—8)

ტფილისის

[illegible]

ბედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. ჰ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. ვ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

დ. ა. ბედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. ზ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 9—10.

ა. ზ. ბარსუკოვი—ქალთა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ზ. ვ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. ვ. სობოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—ქალთა სნეულებანი 5—6 საათამდე

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ჭვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები — სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274 (წლ.)

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

კავკ. საიუბ. გამოფენის დროს ოქროს მედლით დაჯილდოვებული ამხანაგობა

„შრომა“

ჰყიდის ხე-ხილის ხეებს თავისს სანერგეებიდან,

მსურველთ უნდა მიჰმართონ ლაგოდეხში კ. თ. აფრიკიანცს.

კატალოგები უსასყიდლოდ ეგზავნებათ მსურველთ. (26—4)

ფოთის საბუხჰალტერიო კურსები

ა. კ. გიგანეიშვილისა.

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პირობები და პროგრამები მსურველთ გაეგზავნება უფასოდ. (ნ. 20—20)

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი

(მიხეილის ქუჩა, 30)

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე.

ე ქ ი მ ი

დავით ალექსანდრეს ძე

ბედევანიშვილი

იღებს შინაგანი, ნერვების სნეულებით და სწამლობს ელექტრონით საღამოს 5—6 საათამდის.

კიროჩნი ქუჩა, სახლი მარტინოვსკისა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ. (45—3)

1 ენკენისთვიდან ქ. ოზურგეთში გაიხსნა ქალების ოთხ-კლასიანი სასწავლებელი პროგიმნაზიულის კურსით. თხოვნები მიიღება მთელის წლის განმავლობაში გიგო გოგიტიძის სახლში. (6. 10—4).

## საზღვარ-გარედ

**საფრანგეთი.** „ეხო და პარი“ სწერს: ნანტის პროცესის დროს უმთავრესი მოწამე გენერალი ფრატერი იყო. სამხედრო მინისტრის აზრით, მომეტებულ ნაწილად ამ გენერლების ბრალია, რომ სენ-რემი გაამართლესო. ამიტომ ფრატეს სხვა ადგილს გადაიყვანენ. ამას გარდა, სამხედრო წესდებაც იმნაირად შეიცვლება, რომ ამას იქით, რამწამს სამოქალაქო მოხელეები მოითხოვენ, სამხედრო პირებმა დაუყოვნებლივ უნდა აღმოუჩინონ შემწეობა.

**იტალია.** სოციალისტების კონგრესზე იმოლაში შფოთიანი და ცხარე კამათი მოხდა პარტიის ტაქტიკის თაობაზე და ბოლოს ტურატის ზომიერმა დასმა გაიმარჯვა. ტურატის მხარეს 417 დელეგატი ყოფილა, მისი მოპირდაპირეს შეურიგებელი ფერის მხარე-კი მარტო 275 კაცს დაუჭერია.

**ინგლისი.** 22 და 23 აგვისტოს ტრედ-უნიონისტების კონგრესმა რამდენიმე მნიშვნელოვანი რეზოლიუცია დაადგინა.

22 აგვისტოს მოვაჭრეთა ნოქრების დელეგატმა სედონმა ურჩია კონგრესს, ვსთხოვოთ პარლამენტს, სამედიატორო სასამართლოები დააწესოს მუშების და კაპიტალისტების შუა ატეხილ დავების გადასაწყვეტადაო. ამ სასამართლოების წევრებად მუშები და ქარხნის პატრონები თანასწორად უნდა ინიშნებოდნენ, თავმჯდომარედ უმაღლესი მოსამართლე ეყოლებათ. სასამართლოებს ძალდატანებითი უფლება უნდა მიენიჭოსთ, იმ შემთხვევისათვის, თუ მოდავეები ნებაყოფლობით ვერ მოარიგა. მუშების წარმომადგენლებს ტრედ-უნიონები უნდა ირჩევდნენო“.

ამის თაობაზე მოხდა კამათი და გამოჩნდა, რომ მსხვილ და კარგად გაწყობილ ტრედ-უნიონებს მაგდენად ჰკვაში არ მოსდით თურმე სამედიატორო სასამართლოები, ამ ტრედ-უნიონებს დიდი ძალა შესწევთ, და ამიტომ კაპიტალისტებსაც მალე დაიყოლიებენ ხოლმე თავიანთ ნებაზე. ამათი დელეგატები უმთავრესად იმ საბუთს ატანდნენ ძალას, რომ მუშები სწორე მიუდგომელ სამართალს ვერ ეღირსებიან, რადგანაც სასამართლოს თავმჯდომარე კლასიური ინტერესებით იქნება გამსჭვალულიო. გაზის ქარხნებში მომუშავე ხალხის დელეგატმა სთქვა: სამედიატორო სასამართლო ათის წლის წინად იყო საჭირო, მას აქეთ-კი გაფიცვები უფრო იშვიათად ხდება, მუშების ორგანიზაცია თან-და-თან ძლიერდება და გაფიცვები მაგდენად საჭირო აღარ იქნებაო.

23 აგვისტოს კონგრესმა დაადგინა: 15 წლისაზე ნაკლები ხნის ბავშვებს სამრეწველო საქმეში მუშაობა აეკრძალოს; სახელმწიფო ქარხნებსა და სახელოსნოებში მუშებს ქირა კვირაში 30 შილინგზე ნაკლები არ ეძლეოდეს; კაპიტალისტების ტრესტებს საქმეები ჩამოერთოს და სახელმწიფოს გადაეცეს და სხვა და სხვა.

ამას გარდა, კონგრესს პოლიტიკურ საქმეებზედაც ჰქონდა სჯა და დაადგინა, პარლამენტის დეპუტატებს ჯამაგირები დაენიშნოს. კონგრესმა ცალკე რეზოლიუციით სხვა ხალხების მისახდომად და დასაპყრობად გამართული ომიც დაჰგმო.

## ახალი ამბავი

✦ შავი ზღვის ნაპირას რკინის გზის მკვლევარ ინჟენერთა დასისათვის, გზათა სამინისტროს განკარგულებით, კიდევ მიუმატნიათ ხუთი ინჟენერი.

✦ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სტატისტიკოს ბ-ნს ფ. გოგიჩაიშვილს დაუსრულებია შემდეგ **სოფლების გამოკვლევა** გორის მაზრაში: ქარელისა, ბრეთისა, აბისისა, თიღვასა, ცხინვალისა, თამარაშენისა, ხვედურეთისა და ერედვისა. ბ-ნს გოგიჩაიშვილს გამოსა ვლევად დარჩენია ცხინვალისა და მეჯვრის-ხევის საზოგადოებათა ზოგიერთი სოფლები.

✦ კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტს გაგზავნილი ჰყავდა ორი სტატის-

## ფელეტონი

### სომხობა და ქართველი მწერლები

### I. „დროება“ და სერგეი მესხი

(გაგრძელება *)

ჩვენს მწერლობაში თუ ხშირია იმის მაგალითი, რომ დაგმობილა და სასაცილოდ ყოფილა აგდებული სომხობა, შეხვდებით მეორეს მხრით იმასაც, რომ ნამდვილი არმენოფობებიც-კი, რომლებიც სამართლიანად თუ უსამართლოთ წამ-და-უწუმ ბრალსა სდებენ სომხებს,—პატივისცემით იხსენიებენ ხან-და-ხან ამავე სომხებს, აღნიშნავენ მათ ძვირფასს ღირსებებს და უპირატესობას. იშვიათად გვიჩვენებს რომელიმე ქართველი მწერალი ჩვენს ნაკლულევანებას ისე, რომ მაშინათვე ხელი არ მიგვითითოს სომხებზე: აი, ეგენი კი ამ ნაკლულევანებას მოკლებულნი არიანო! ჩვენ გაუნათლებელი ვართ, სომხები განათლებულნიო; ჩვენ ერთობას მოკლებულნი ვართ, სომხები მეტად სოლიდარული ერია; ჩვენ გულ-გრილნი ვართ საზოგადო ინტერესებისადმი, სომხებს-კი ძალიან უყვართ საზოგადო საქმეო!

თვით „ივერია“-შიაც, რომელიც დღეს ასე ძალზე გაჯავრებულია სომხებზე და ჰფიქრობს, რომ ყოველივე ჩვენი უბედურება სომხებისაგან წარმოდგებაო, თვით ამ „ივერია“-ში წაიკითხავს ადამიანი სიტყვებს: სომხებისაგან ჭკუა ვისწავლოთო! დღეს ძნელად შეხვდებით ისეთს ქართველს, რომელმაც, რაც უნდა ბევრი აძაგოს სომხობა, ბოლოს მაინც რომ არ დაუმატოს: მაინც ნიჭიერი ხალხიაო.

რითი უნდა ავხსნათ ასეთი წინააღმდეგობა ქართველ მწერლების მსჯელობაში სომხობის შესახებ? რომ ერთის მხრით სომხები ყოვლად უვარგისი ერია, მეორეს მხრით კი მოსაწონი, ისეთი ერი, რომელსაც უნდა მივბაძოთ ქართველებმა? ჩვენის აზრით, ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ პირველის გვარის წერილები დაწერილია აფექტის ზედგავლენით, შეურაცხყოფილ ეროვნულ თავმოყვარეობის დროს; როდესაც ქართველი მწერალი პირ-და-პირ ჰხედავს, თუ როგორ სჩაგრავს სომეხი ქართველების ინტერესს, მის გულში აღიძრება საშინელი სიძულვილი სომხებისადმი, და იგი უარ-ჰყოფს მათში ყოველგვარ ღირსებას; ამ დაბრმავების დროს მას ავიწყდება თავისი წინანდელი გამოცდილება, რაც წინად უნახავს და სმენია მრავალჯერ, რაც ღრმად აქვს შეთვისებული, რომ მისი მეზობელი ერი აბუჩად ასაგდები არ არის და ბევრი ისეთი თვისება აქვს, რომელიც ყოველს ერს დაამშვენებდა.

ჩვენ არ ვართ მომხრე სომხების იდეალიზაციის; თვითონ სომხის მწერლობასაც კარგად აღუნიშნავს თავისი ნაკლულევანებანი (ამის მაგალითი ამას წინად ერთხელ კიდევ გვიჩვენა „მშაკ“-მა), მაგრამ არ უნდა წავართვათ ერს, რაც მისი სრული კუთვნილებაა. ქართულ მწერლობაში თავიდანვე იყო პატივისცემა სომხებისადმი, რომელიც ხშირად არა სჩანდა სრულებით; სხვა მიმართულებით, სხვა ფიქრებით და აზრებით იყო დაფარული, რომელიც სადღაც სიღრმეში იყო მიმალული, მაგრამ რომელიც არასოდეს არ მომკვდარა და მუდამ ატარებდა თან ხან შეგნებულად, ხან შეუგნებლად სომეხ-ქართველთა ერთობის აზრს და რომლის განვითარება ამზადებდა და ამზადებს დღეს ამ ერთობის განხორციელებას, რადგან მხოლოდ ურთიერთი პატივისცემა ჰქმნის ერთობას.

„დროება“ ისეთი გაზეთი იყო, რომელიც არ ემორჩილებოდა არავითარს წინასწარ აზრებს და პირ-და-პირ უყურებდა სინამდვილეს, როგორიც უნდა ყოფილიყო იგი. „დროება“-მ აღნიშნა აუცილებლობა ქართველ-სომეხთა და საზოგადოდ კავკასიელ ერთა ერთობისა, მუდამ თვალ-წინ უდგა ეს ერთობა, მაგრამ ამასთანავე არ ხუჭავდა თვალებს დღევანდელს ჩვენს უთანხმოების და შეტაკების წინაშე. სომხების უაზრო და უსამართლო საქციელით გაცხარებულს მოჰყავდა ვილაცების აზრი, რომ სომხები უზნეო და დაცემული ხალხია, რომელსაც არც წარსული ჰქონია და არც მომავალი ექნებაო. მაგრამ ასეთი წერილები იშვიათია „დროება“-ში. იგი უფრო ხშირად პატივისცემით იხსენიებდა სომხებს და ყოველთვის მიაქცევდა ქართველ საზოგადოების ყურადღებას სომხების ღირსებაზე და წარმატებაზე. „დროების“ 1869 წ. 49—№-ში მეთაურ წერილში ვკითხულობთ: ჯერ ერთი ნაწილი ერისა—უფრო შეძლებული—მიდის წინ, როგორც განათლებაში, ისე ცხოვრებაში; შემდეგ ამ განათლებულს ნაწილს ჰქონია გავლენა სხვებზე თავის მოქმედებითა და სიტყვით და ამ რიგად მთელი ერი წაწეულა წინ; ეს ისტორიული კანონი არ მართლდება ჩვენზე, ერი და მისი წარმატება ახლანდელს ჩვენს განათლებულს საზოგადოებას არ ახსენდებაო. სულ სხვაა სომხებშიო: განათლებული და შეძლებული სომხები ხსნიან თავის ხარჯით სახალხო სასწავლებლებს და სახელოსნო სკოლებს და ზრდიან უნივერსიტეტში ყმაწვილ კაცებს, რომ შეიძინონ შემდეგში საზოგადოების სასარგებლო წევრებიო.

1873 წ. 39 №-ის მეთაურში ნ. სკანდელს (ნიკოლაძეს) მოჰყავს ცნობები სომხის სკოლების შესახებ და ამბობს: „მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ყველა ეს სასწავლებელი დაუარსებიათ სომხებს თავიანთის საკუთარის ღვაწლით და შრომით, სხვის დაუხმარებლათ, იმ მიზნით, რომ მამაპაპური ენა და თვისტომობა არ დაჰკარგონ და გაამშვენიერონ... ნურც იმას დაივიწყებთ, რომ სომხის ახალგაზრდობა დიდის გულმოდგინეობით ეწაფება სკოლის საქმეს... ამ კეთილ საქმეში თითქმის ყოველი სომხები თანახმანი და შეერთებულნი არიან... ამ ერთ კითხვაზე ისინი ყოველთვის თანახმანი და ერთგული მოძმენი არიან: ჩვენი სასწავლებლები უნდა ვავრცელოთ, ჩვენი ენა უნდა დავიცვათო“.

ბ. აკაკი, რომელმაც არა ერთი მწარე სიტყვა დაუწერა სომხებს, შემდეგ ნაირად უპირდაპირებს ერთმანეთს სომხებს და ქართველებს: „რომ ქართველი არ ვიყო, დიდი მოყვარული ვიქნებოდი და პატივის-მცემელი სა-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1910

ტიკოსი და ერთი ინჟინერ-ქიმიკოსი ერევნის გუბერნიასა, დაღესტნის ოლქსა და კავკასიის სხვა ნაწილებში **ხალიჩის ქსოვა-წარმოების** გამოსაკვლევად და აგრეთვე საღებავ მასალების შესასწავლ-აღსაწერად. სტატისტიკოსებს უკვე დაუმთავრებიათ შუშასა და ზანგეზურის მაზრების და ერევნის გუბერნიის ამ მხრივ გამოკვლევა.

◆ ამ ჟამად ტფილისში თავ-მოყრილია ტფილისის გუბერნიაში **სახაზინო ტყეების გამგებელნი.** ამათ კრება აქვთ სახელმწიფო ქონებათა სამართველოში ამ უკანასკნელის მმართველის თავ-მჯდომარეობით განსაკუთრებით იმისათვის, რომ ტყეების მართვა-გამგეობის საქმეები გაარჩიონ და გააწესრიგონ.

◆ ქალაქის **ელექტრონით განათების პროექტი** „გელიოს“-ის საზოგადოებისა განუხილავს ინჟენერებს ეგოროვსა და მუხარინსკის, რომელთაც ქალაქმა დაავალა ეს საქმე.

მკითხველებმა იციან, რომ სამინისტრომ საჭიროდ დაინახა ელექტრონის მავთულები ზოგიერთ ქუჩებში უთუოდ მიწაში გაემართა ქალაქს. ამით 80 ათასი მანეთი მეტი ხარჯი ემატება ქალაქს. ინჟენერებს ეგოროვსა და მუხარინსკის ის აზრი გამოუთქვამთ, რომ შეიძლება მიწაში გასაყვან მავთულების ხარჯი 40 ათასი მანეთით შემცირდესო.

◆ საგუბერნიო სამმართველოს განუხილავს **ელექტრონის ტრამვაის პროექტი** და ზოგი რა ცვლილებაც მოუხდენია იქ. ცენტრალურ სადგურისათვის ადგილის ამორჩევაზედაც სხვა-და-სხვა აზრი გამოუთქვამს სამმართველოს წევრებს.

◆ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ საქმის მწარმოებელმა ბ. **პეტრე მირიანაშვილმა** თავი დაანება სამსახურს.

◆ თავ. ა. წერეთლის **საოპერო დასის** არტისტთა ერთი ნაწილი უკვე ჩამოვიდა ხარკოვიდან ტფილისს. წარმოდგენებს 15 სექტემბრიდან დაიწყებენ. დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ამ დღეებში დაასრულებს სათავად-აზნაურო თეატრის შეკეთებას.

◆ გუშინ, 4 სექტემბერს **ქ. გორს გაემგზავრა** ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია.

◆ ამ ჟამად ტფილისშია **შვეიცარიის საკომერციო საზოგადოების წარმომადგენელი** ედუარდ ბალენი, რომელიც განსაკუთრებით იმიტომ ჩამოსულა, რომ ადგილობრივ გამოიკვლიოს ჩვენს ქალაქში ელექტრონის ტრამვაის გაკეთებისა და ბოტანიკურ ბაღისაკენ გვირაბის გაყვანის საქმეები. თუ გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ეს ორი საქმე ხელ-საწდომი იქნება, ბ-ნი ბალენი ორსავე საქმეში ქალაქს კარგსა და სახეირო პირობებს წარუდგენს თურმე. („კავკ“.)

◆ როგორც კახეთიდან გვატყობინებენ, ამ ბოლოს დროს დიდს წვიმებს შესამჩნევი **ზარალი მიუყენებია მევენახეთათვის**, როგორც თელავისა, ისე სიღნაღის მაზრაშიც.

◆ სამშაბათს, 3 სექტემბერს, ქალაქის მოურავის მოადგილის თავმჯდომარეობით მოხდა შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და იმ კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს ნიკოლოოზ ზუბალაშვილის ანდერძის განსახორციელებლად შეუძლებელთათვის **თავ-შესაფარის მოწყობა.** შეერთებულს სხდომას ტეხნიკოსმა წარუდგინა სურათები და გეგმა აღნიშნულ შენობისა, რაც სხდომამ მოიწონა და დაამტკიცა. რადგანაც ამას წინად საბჭომ გადასწყვიტა, 100,000 მან. მაგიერად 80,000 მან. გიდაიდვას შენობის ასაგებად, სხდომამ დაავალა ტეხნიკოსს 4 დღის განმავლობაში შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა 80,000 მან. მიხედვით და წარუდგინოს შეერთებულსავე სხდომას.

◆ ამას წინად ქალაქი დაეკითხა გუბერნატორს, როგორ მოვიქცეთ ქალაქის **ლომბარდში დაგირავებულის იარაღების შესახებ,** თუ ამათი გაყიდვა დაგვჭირდა, მაშინ როდესაც იარაღების შესახებ განსაკუთრებული წესებია გამოცემულიო. გუბერნატორს უცნობებია ქალაქისათვის, რომ ხმალ-ხანჯალი ლომბარდს შეუძლია დაიგირავოს და გაჰყიდოს კიდეც ნება-დაურთველადაც და მყიდველებს არავითარი მოწმობა არ მოეთხოვებაო; ხოლო თოფების შესახებ გუბერნატორს მიუწერია, ამ იარაღის მომტანსაც და მყიდველსაც დაწესებული მოწმობა უნდა ჰქონდეს, მაგრამ იმ თოფისა, რომელზედაც მოწმობის შეძენა სავალდებულოაო.

◆ ქალაქი ბათუმი საკუთარს სახლს იშენებს, სადაც ქალაქის სხვა-და-სხვა დაწესებულებანი უნდა მოათავსონ. ეს სახლი დაუმთავრებიათ და ამ მოკლე ხანში აკურთხებენ კიდეც. საბჭოს პირველი სხდომაც ამ ახალს სახლში მოხდებაო. შენობის აგება რვა ათასს თუმნამდე დამჯდარა.

◆ სახელმწიფო ბანკის განყოფილებამ ტფილისში **საკუთარი ადგილი შეიძინა** ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩების კუთხეზე, ფოსტის პირ-და-პირ. ახლა ამბავი მოსვლია ბანკს, ფინანსთა სამინისტროს ოცი ათასი თუმანი გადაუდვია ბანკის განყოფილებისათვის საკუთარის სახლის ასაგებად ახალს ადგილზე. სახლის აგებას მომავალ წელს შეუდგებიან, როგორც შევიტყეთ.

◆ ქალაქის ერთ ერთ აგურხანის პატრონს საყურადღებო ნიმუშები მიუღია **ქუჩების მოსაგებ ერთ-გვარის აგურისა.** აგური რვა კუთხიანია და ნაცრისფერი. საზღვარგარედ თურმე ხშირად ამ აგურით ჰფენენ ქუჩა-მოედნებს და იაფადაც უჯდებათ. აგურხანის პატრონს უნდა ნიმუშები ქალაქის გამგეობას წარუდგინოს. („კავკ“.).

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა **საროსკიპო სახლებისათვის სავალდებულო** წესები შეადგინა და გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად. გუბერნატორსაც ეს წესები დაუმტკიცებია.

◆ ორშაბათს, 9 სექტემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე ტფილისის მცხოვრებ ისაკ არტემასძე დანდოროვისა, რომელიც კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას 2000 მან. ედავება. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, დანდუროვი გამოფენაზე გასართობის მომწყობმა კომიტეტმა მოიწვია ორკესტრის გასამართავად, ხოლო იმან დავა სამეურნეო საზოგადოებას აუტეხა.

◆ ხვალ, 6 სექტემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე კანცელარიის მოხელედ ნამყოფის პეტრე მიხეილის ძის ტაბლიაშვილისა, რომელსაც გიმნაზიის მე-7 კლასის მოსწავლე ქალის ევგენია როდიონოვის მოკვლის განზრახვა ჰბრალდება. ბრალდებულს ტაბლიაშვილს დაიცავს ნაფიცის ვექილის თანაშემწე თავ. ი. ბარათაშვილი.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის ხარკის ამკრებლებმა წასულ აგვისტოს განმავლობაში შეჰკრიბეს და შეიტანეს კასაში: დასაფასებელი გარდასახადისა—42,000 მან., ცხენებზე დაწესებულ გადასახადისა—30,000 მან., ძაღლებზე გადასახადისა—100 მ. და სხვა, სულ 169,237 მან. 76 კაპ.

◆ 1 სექტემბრისათვის დანიშნული იყო საჯაროდ გაჭრობა ტფილისის ქალაქის ნავთიან მიწის იჯარით გასაცემად. ეს მიწა 2 დესეტინა და 1044 ოთხ. კ. საჟ. ავლაბარშია, „ნავთის ქვაბში“. რადგანაც გაჭრობას არავინ დაესწრო, გამგეობამ გარდასწყვიტა ხელმეორედ დანიშნოს გაჭრობა.

◆ 6 აგვისტოსთვის დანიშნულია სხდომა იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის ქუჩებისა და მოედნების საუკეთესო სისტემით მოკირწყვლის საქმე. კომისიამ ამ სხდომაზე უნდა შეადგინოს მოსაკირწყლავად საჭირო ფულის ხარჯთ-აღრიცხვა.

◆ 3 სექტემბერს „ნოვ. ობოზ“ გამომცემელის თავ. კ. მ. თუმანოვის ბინაზე, იმის შინ არ ყოფნის დროს, შეპარულან ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი, რომელთაც ყუთიდან 300 მან. მოუპარავთ. თავ. თუმანოვმა პოლიციაში ამ ქურდობაზე ეჭვი განაცხადა მსახურზე, რაჭის მაზრის მცხოვრებს კილასონზე, რომელნიც უკვე დააპატიმრეს.

◆ პოლიციის მე-3 ნაწილში გუშინ-წინ წაჩხუბებულან მუშა გიორგი ჭრელაშვილი და დიმიტრი ოსიტაშვილი; ამ დროს ჭრელაშვილს დანით მძიმედ დაუჭრია ოსიტაშვილი.

◆ პოლიციის მე-8 ნაწილში 1 სექტემბერს ჰნახეს თავის ბინაზე ტყვიით დაჭრილი მარიამ თეოდორეს ასულის ბოლგარსკაიას გაცივებული გვამი. გვამი მიხეილის სამკურნალოს საანატომიო განყოფილებაში გაგზავნეს.

# დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**ქუთაისი.** თავად-აზნაურობამ გადასწყვიტა, უუმაღლესად ნაბოძევი ფული მოახმაროს სასწავლებლის გახსნას. ხვალ ამოირჩევენ კომისიას სასწავლებლის ტიპის ასარჩევად.

## ქუთაისის ახალი ამბები

◆ ყოვლად-სამღვდელო, იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე, ხანგრძლივის რევიზიის შემდეგ, 1-ლ სექტემბერს ქუთაისს დაბრუნდა.

◆ ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციას განუზრახავს ბათუმში მეეზოვები შემოიღონ და სავალდებულო წესებიც გამოსცეს ამ ქალაქში იარაღის ტარების შესახებ.

◆ ქუთაისის წყლისაყვანის უმთავრესი აუზი 15 სექტემბერს მზად იქნება და ამის შემდეგ ამხანაგობის გამგე მუშაობას შეუდგება მესამე ვერსტზე, საიდანაც უნდა წყალი წამოიყვანონ ქალაქისაკენ.

◆ მთავრობა თხოულობს, რომ სამთო სამუშაოში სამთო მწარმოებელს უთუოდ ჰყავდეს ამ საქმის მცოდნე, რომელიც პასუხის მგებელად იქმნება სამთო სამუშაოში. რადგან ამისთანა მცოდნენი ცოტანი არიან, მთავრობამ ნება მისცა კერძო კაცთ, შეისწავლონ სამთო საქმე და მერე ეგზამენი დაიჭირონ, რომ ნება მიიღონ სამთო სამუშაოში ზედამხედველობისა. ამისთანა ეგზამენი 30 ამ თვეს ქუთაისშია დანიშნული და მსურველმა ამ თვის 20-მდე ქაღალდი უნდა მისცეს კომისიის თავმჯდომარეს და შემდეგი საბუთი წარუდგინოს: ა) ან პასპორტი, ან სხვა რამ საბუთი, მთხოვნელის ვინაობის დასამტკიცებლად და ბ) საბუთი იმისა, რომ მთხოვნელს მართლა უმუშავნია სამთო სამუშაოზე სამი წელიწადი მაინც, ან არა და—უცხოეთის ერთ-ერთ სამთო სასწავლებელში სწავლის დასრულების დიპლომი უნდა წარადგინოს.

◆ ქუთაისის თეატრის ანტრეპრენერს ვ. ალექსი-მესხიშვილს მთელის სეზონით მოუწვევია: ქ-ნნი ეფ. მესხისა, ტასო აბაშიძე, ნი-

---

ქართველოს სომხობისა! საქართველოს გარეთ დღესაც-კი მომწონან ისინი, რადგანაც არ შემიძლიან, მათი ღირსება არ დავაფასო: იმათ ესმისთ, თუ რა არის, მამულისშვილობა და არ ივიწყებენ თავის გვარტომობას. ძვირათ შეხვდებით მისთანა სომეხს, რომელიც გულგრილობდეს და შეძლებისა დაგვარათ შემწეობას არ აძლევდეს თავის საზოგადო საქმეს... *) ვიმეორებ, სომეხი რომ ვიყო, ვეცდებოდი და მიამებოდა, რომ ყოველი სომეხი გამდიდრებული და ამაღლებული მენახა, რადგან მეცოდინებოდა, რომ ის თავის დიდ კაცობითა და სიმდიდრით საზოგადო საქმეს შეეწევა. მაგრამ ქართველი რომ ვარ, არაფრათ მეჭაშნიკება ქართველის გაბედნიერება. ვიცი, რომ გაკეთებული, გამდიდრებული ქართველი არა თუ არაფერს არგებს სამშობლოს, კიდეც აზარალებს.“ (დრ. 1880 წ. №-29).

როგორც ვთქვით ზემოთ, პატივისცემის ნიადაგზე აღმოცენდება სოლიდარობა და ერთობა. სადაც არის პატივისცემა ურთიერთისადმი, იქ აუცილებლივ დაიბადება სურვილი შეერთებისა. მარტო ის არ კმარა, რომ ერთს პირობებში ცხოვრობდენ ადამიანები; იმას არავინ არ შეუერთდება, ვისაც პატივს არა სცემენ...

იყო დრო, როდესაც სომეხი თითქმის სრულებით არ გაარჩევდა თავის თავს ქართველისაგან. ორივე ერთის **ქართველის** მეფის ქვეშევრდომი იყო, ორივე **ქართულად**, ლაპარაკობდა, ერთად ცხოვრობდა, ერთი ინტერესები ჰქონდათ. სოფელში სომეხი ქართველსავით მიწის მუშა იყო და თუმცა ქალაქებში უმთავრესად სომხის ხელოსნები დ ვაჭრები იყვნენ, მაგრამ რაკი ფეოდალური წეს-წყობილება და შინა-მრეწველობა იყო გაბატონებული, ქალაქის ვაჭრებს და ხელოსნებს იმდენი როლი არ ჰქონდათ ცხოვრებაში, რომ თავისის **სომხობით** რაიმე შესამჩნევი გავლენა ჰქონოდათ. ამასთან ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ რუსეთთან შეერთებამდის, როდესაც საქართველოში ქართველთა მთავრობა იყო, ირგვლივ მხოლოდ ქართული წრე არსებობდა, სომხები არამც თუ ძალდაუტანებლად, თავის თავად ითვისებდნენ ყველაფერს **ქართულს**, უერთდებოდნენ ქართველობას (ხანდახან, შეიძლება, ეს ანგარიშითაც მოსდიოდათ); მათ კიდეც რომ ნდომებოდათ, არ შეეძლოთ წინაადგომოდნენ **ქართულს** და **ქართველობას**, არ შესწევდათ ამის ძალა, არ ჰქონდათ ხელთ ელემენტი, რომელიც დაეპირდაპირებინათ ქართველთა გავლენისათვის.

საქართველოს რუსეთთან შეერთებამ ძირიანად შესცვალა ჩვენი ცხოვრება და სხვა საფუძველი დაუდგა სომეხ-ქართველთა ურთიერთობასაც. მოისპო ქართული მთავრობა და დაარსდა **რუსული**, მოისპო განსაკუთრებული **ერთი** წრე და შეიქმნა **ორი: რუსული** და **ქართული**. წინად თუ სომეხი დამორჩილებული იყო ერთის წრით, ახლა დაუპირდაპირა ერთს წრეს მეორე, ერთს ვინაობას—მეორე ვინაობა და წამოაყენა წინ თავისი ვინაობაც. არის ქართველი, არის რუსი, არის სომეხიც.—ახალ ხანას მოჰყვა ახალი განწყობილება წოდებათა და კლასთა: მოკვდა ფეოდალი, მოისპო კარჩაკეტილი ცხოვრება და შინა-მრეწველობა (შედარებით); ამის მაგიერ შემოვიდა კაპიტალისტური წარმოება, შრომა განაწილდა, სოფელი და ქალაქი განშორდნენ ერთმანეთს წარმოებით, წინ წამოდგა ვაჭარი და მრეწველი, რომელიც შეიქმნა ბრძანებელი დღევანდელის ცხოვრებისა. რაკი თავიდანვე ვაჭარ-მრეწველნი (ხელოსნები) ტფილისის გუბერნიაში უმთავრესად სომხები იყვნენ, ახლაც კაპიტალისტური წარმოება განვითარდა მათ ხელში და რადგან ვაჭარი და მრეწველი ბატონია, **სომხის** ვაჭარ-მრეწველის გაბატონებამ ჩვენში მისცა განსაკუთრებული მიმართულება ჩვენს ცხოვრებას.—ამასთან ერთად წინ მიდიოდა საქართველოს საზოგადო განათლება. ჩვენ დავუახლოვდით ევროპას, ჩვენში გაიხსნა სკოლები, გავრცელდა სწავლა, გამრავლდა წიგნები, აღორძინდა პრესსა, დაიბადა ინტელიგენცია, სწავლა-განათლება გადემოკრატდა, მოეფინა ხალხს, გაადვილდა მისვლა-მოსვლა, გაიხსნა მრავალი ასპარეზი ადამიანის სამოღვაწეოდ; კავკასიის სხვა-და-სხვა ელემენტები შეეტაკნენ ერთმანეთს,—ყველაფერს ამას თან მოჰყვა **ეროვნული თვითცნობიერება**, ეროვნულის მე—ს განვითარება კავკასიაში.

აი სამი უმთავრესი მომენტი, ჩვენის აზრით, სომეხ-ქართველთა საკითხის დასაბამისა მე-19 საუკუნეში.

ქართველ-სომეხთა ერთობა არსებობდა ძველ საქართველოში, მაგრამ ეგ ერთობა იყო ცალმხრივი: იქ არ იყო შეერთება ორის თანასწორის მხარესა, არამედ იყვნენ **ქართველები** და სომეხ-**ქართველები**, იყო **ერთი** ქართველობა. დღეს ეგ ერთობა დარღვეულია; წინად თუ არსებობდნენ სომხები, როგორც უცხო წევრები საქართველოსი ან განჯის სახანოსი ან სხვისი, იყვნენ ამათ გავლენით დამორჩილებულნი *), დღეს სომხები სრულიად თანასწორნი არიან სხვა ტომთა წევრების და თუ წინად არსებობდა განსაკუთრებული საქართველო, განჯა, ბაქო, დღეს პირველი ადგილი დაიკავა საერთოდ კავკასიამ და თუ არსებობს სახელი ქართველი, დაიბადა ახალი სახელი **კავკასიელი.** წინანდელი ერთობა დაირღვა და ირღვევა, ცალკე გავიდნენ ქართველები და სომხები, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეგ განცალკევება დარჩება მომავალშიც. ქართველ-სომეხთა შეერთება აუცილებელია, ამის ნიადაგი დღეს და გუშინ არ შექმნილა, არამედ მომზადებულია საუკუნოებით. მხოლოდ ეგ შეერთება კი არ უნდა იყოს (და არც იქნება) წინანდელი ერთობა-**ქართველობა**, არამედ—შეერთება თანასწორ-უფლებიან **ქართველებისა და სომხებისა.**

**კალამი.**

(დასასრული იქნება)

---

*) ჩვენ, ქართველები კი არაფერს ვაკეთებთ, ენას ვივიწყებთო.

*) მართალია, დღესაც დიდია ქართულის წრის გავლენა სომხებზე, მაგრამ თანდა-თან ვითარდება სომხების საკუთარი წრეც, რომელსაც დღეს უმთავრესად შეადგენს სომხური მწერლობა. კავკასიელ ერებს უთუოდ ექმნებათ ერთმანეთზე გავლენა, მაგრამ ეს ურთიერთი გავლენა უნდა იყოს სრულიად თავისუფალი, ერთი უნდა ითვისებდეს მეორეს ზნეს, ჩვეულებას, კულტურას სრულის ნებაყოფლობით.

ნო ჩხეიძე, კ. ყიფიანი, აწყურელი და სხვანი. წარმოდგენების დაწყებას აპირებენ 22 სექტემბერს.

ამ ჟამად ქალაქის გამგეობა მცირე რემონტს უკეთებს თეატრს. საჭიროა, სისუფთავესაც ყურადღება მიაქციონ, რომ ცუდი სუნი არსაიდან შემოდიოდეს თეატრში.

## პატარა საუბარი

2.

მოახლოვდა საქალაქო არჩევნები.

მიუხედავად ამისა, არც წინანდებური ფაცა-ფუცია, არც მაინცა და მაინც დიდი აგიტაციაა. საზოგადოებაც და გაზეთებიც დამშვიდებით არიან, თითქო არც არავის აინტერესებდეს მომავალი შეჯახება.

საზოგადოების ასეთი გულ-გრილობა უმეტესად იმით უნდა ავხსნათ, რომ აწინდელი საქალაქო დებულება ზღუდავს თვით-მართველობის მნიშვნელობას. ერთის მხრით, ამომრჩეველთა რიცხვი შემცირებულია და ცენზის სიდიდე საარჩევნო უფლებას არ აძლევს მოქალაქეთა უმრავლესობას; მეორეს მხრით, თვით-მართველობის მოღვაწეობის ასპარეზიც იმდენად შეიზღუდა, რომ საზოგადოების მომქმედი და ცოცხალი ელემენტები მაინცა და მაინც არ ეტანებიან საქალაქო საქმეებს.

ეს საზოგადო მიზეზია, რომელსაც ერთნაირი შედეგი მოჰყვა მთელს რუსეთში: ყველგან უჩივიან ინდიფერენტიზმს და საქალაქო თვით-მართველობის მაჯის სისუსტეს.

ჩვენში, უმთავრესად ტფილისში, არჩევნების ინტერესს აძლიერებდა კიდევ სხვა-დასხვა ერთა შეჯახება. ახლა ამ გარემოებასაც როგორღაც წინანდელი ძალა არა აქვს; რაიონებად დაყოფილნი ამომრჩეველნი დამშვიდებით თვალ-ყურს ადევნებენ თავიანთ კომიტეტების მოქმედებას; უკანასკნელნი-კი ცდილობენ წინანდელი ეროვნული განხეთქილება თავიდან აიცილონ.

ამ რიგად, წინანდელი პარტიები აღარ არის და ახლებიც არა სჩანან. წარმოიდგინეთ, რომ ის პარტიებიც არა სჩანან, რომელნიც ყოველ საზოგადო საქმეში არიან ხოლმე, ესე იგი, საზოგადო საქმის ან დაწესებულების მოთავეთა მომხრენი—ერთის მხრით და მათი მოწინააღმდეგენი—მეორეს მხრით. ჩვენ საქალაქო გამგეობას არც არავინ იცავს, არც არავინ ეწინააღმდეგება. პირადათ ბ. შესტაკოვის წინააღმდეგ მიმართული ოპპოზიცია ამ შემთხვევაში სათვალავში მოსატანი არ არის...

ჩვენს შენიშვნას, რომ ამომრჩეველთა შორის მტკიცედ განსაზღვრულ პარტიებს ვერა ვხედავთ, სრულიად არ არღვევს ის გარემოება, რომელიც გუშინ გვაუწყეს გაზეთებმა: „დვორცოვი ნომრების“ პარტია აღორძინდა და თავისი სიაც შეიმუშავაო.

მართლაც, ვინ არიან ამ პარტიის წევრები, რა პარტიაა ეს პარტია და რომელია მისი დროშა? ამის შესახებ არა ვიცით-რა და, ალბად, ამომრჩეველნიც განცვიფრდებოდნენ, როდესაც ამ ძველს სახელს ამოიკითხავდნენ.

წინანდელი „დვორცოვ. ნომერა“ რაც იყო, ყველამ იცოდა. ეს იყო პარტია გავლენიან-პლუტოკრატიის, რომელიც სათავეში უდგა საქალაქო საქმეებსა და არავის ანებებდა თვით-მართველობის სიმაგრეს. მას ხელმძღვანელობდნენ ისეთი მოღვაწეები, როგორიც იყვნენ კ მ. ალიხანოვი, ა. ს. მატინოვი, განსვენებული პ. ა. იზმაილოვი და სხვანი. მათი პროგრამმა და მიმართულება ყველასათვის ცხადი იყო. საარჩევანო ბრძოლის ხერხი და ტაკტიკაც გამორკვეული ჰქონდათ. ეს ის პარტია იყო, რომელმაც თამამადა და ხერხიანად ააფრიალა ეროვნული დროშა და გაამწვავა ქართველ-სომეხთა ურთიერთობა. ამ დროშამ კარგი სამსახური გაუწია სოლოლაკელთა ჯგუფს: ამომრჩეველთა ჯარი საქალაქო ინტერესების მიხედვით-კი არ გაიყო, არამედ ეროვნების მიხედვით და სომხებმა გაიმარჯვეს...

მაგრამ ახლანდელი „დვორც. ნომერა“ რაღა არის? მის გამგეთა და მოთავეთა შორის ჩვენ ვერ ვხედავთ რომელისამე განსაზღვრულის ჯგუფის წარმომადგენელთ და წინანდელ პარტიასთან დაახლოვებულ-დაკავშირებულ წევრთ. ბატონები ივ. ალიხანოვი, ექ. მ. ავთანდილოვი, არს. ბებუთოვი, მოხელე სვეჩნიკოვი, რუბენ იოჰანესიანი, რომელნიც ინიციატორებად ჩაითვლებიან „დვორც. ნომრების“ აღორძინების საქმეში, ნეტავ მცხოვრებთა რომელ ჯგუფს ეკუთვნიან, ან და რა კავშირი აქვთ წინანდელ „დვორც. ნობრებ“-თან?! რა საერთო ინტერესი აკავშირებს მათ, რა დროშა უნდა ააფრიალონ?

თუ გვეტყვიან, რომ მათი ინტერესი მხოლოდ საერთო საქალაქო ინტერესია, მაშინ ჩვენ ვკითხავთ: რათ გამოეყავით საუბნო, სარაიონო კომიტეტებს? რატომ მათთან ერთად არ ადგენთ სიებს? ხოლო თუ გვეტყვიან, რომ განსაკუთრებული დროშა აქვთ, მაშინ დავეკითხებით, რა დროშაა ის დროშა, რომელმაც შეაერთა მ. ავთანდილოვი და ბ. სვეჩნიკოვი, რუბენ იოჰანესიანი და თავ. არსენ ბებუთოვი და სხვები?!

თუ ამ საკითხებზე პასუხს არ გვიგებენ, მაშინ ჩვენ საბუთი გვეძლევა ვსთქვათ, რომ „დვორც. ნომრები“-ს სახელის აღორძინება მხოლოდ საარჩევანო ხერხია, ესე იგი, ვიღაცას ჰსურს ისარგებლოს ცნობილის პარტიის სახელით და თავისიანები გაიყვანოს.

**მეთვალ-ყური**

## პრესსა

არც ერთი ისეთი ერი არ მოიპოვება დედა-მიწის ზურგზე, რომლის შვილნიც ერთნაირად ლაპარაკობდნენ, ერთის კილოთი საუბრობდნენ. ყველა ერის ენა უეჭველად კილოებად არის დაყოფილი და აქ რომ ერთი კილოა მიღებული, იქ მეორესა აქვს ფეხი გადგმული. მეორეს მხრით: არ მოიპოვება არც ისეთი ერი, რომელსაც ერთი სამწიგნობრო, სალიტერატურო ენა არა ჰქონდეს. ამ საანბანო ჭეშმარიტებას ეხება გაზეთი „ივერია“ მე-186 ნომერში და სამართლიანად ამბობს:

> ყველა სკოლაში სწავლება მოწყობილია დედა-ენაზე და ადგილობრივ კილო-კავებს ხმარობენ ასახსნელად და განსამარტებლად იმ საერთო სიტყვებისა, რომელიც ადგილობრივ ბავშვებს კარგად არ ესმით. ამ სახით ეფინება მთელს ხალხში დედა-ენის სრული ცოდნა და მასთან ერთად ვრცელდება განათლებაც. ასეთი წესია ევროპასა, ამერიკისა, რუსეთსა და სხვაგან.

რაღა თქმა უნდა, ის ხალხი, რომელიც ერად ქცეულა და რომელიც თვით-შეგნებასა და თვით-ცნობიერებას არ არის მოკლებული, არ მოისურვებს სალიტერატურო ენის დაქუცმაცებას და კილო-კავების გაბატონებას. არც ყოფილა ამისი მაგალითი დღემდე მაინც. მაგრამ დღეს აღმოჩნდა ასეთი მაგალითი და ამ მაგალითის შემქნელნი, ჩვენ, ქართველნი, ვართ. აი, რასა სწერს ქვეით „ივერია“:

> ვინ მოიფიქრებდა, თუ ამ გონივრულს წესს, ღვთისაგან დალოცვილს და კაცთაგან მოწონებულს, მოწინააღმდეგენი გამოუჩნდებოდნენ ჩვენს ქვეყანაში, საქართველოში. მაგრამ მოულოდნელი ახდა, შეუძლებელი აცხადდა. და აცხადდა მხოლოდ ჩვენში და სხვაგან არსად არც სომეხთა შორის, არც თათართა შორის და არც სხვა კავკასიელებში არ აღმოჩენილა იმისთანა ჭკუა-მოკლე და უკუღმართი ადამიანი, რომელსაც ეთქვას, სკოლებში სწავლება თემურს კილო-კავებზე უნდა იყოს და არა დედა-ენაზეო. ჩვენ მი-კი აღმოჩნდნენ იმისთანა ჭკუით გლახანი, რომელთაც გაჰბედეს და წარმოსთქვეს, რომ სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებიდან დედა-ენა უნდა იქმნას გამორიცხული, რადგან აქ ხალხი ადგილობრივს კილო-კავებს ხმარობსო. რას გვიქადის ამ უკუღმართის აზრის სისრულეში მოყვანა, განხორციელება? რა საკვირველია, მეტად ცუდს მომავალსა.

ეჭვი არ არის, შედეგი ასეთის დაქუცმაცებისა საკეთილო არ იქმნება არც მთელის ერისა და არც იმ ნაწილისათვის, რომლის მოწყვეტა-მოშორებასაც სცდილობენ.

> რაც შეეხება კერძოდ იმ მხარეებს, რომელთაც მოწყვეტას უპირებენ—სწერს დასასრულ გაზეთი—ისინი იმავე სიკეთეს მოიმკიან, რა სიკეთეც მოელის ტოტებსა, ხიდან მოჭრილებსა: დაჭკნობა და გახმობა აუცილებელი შედეგია მათის მოწყვეტისა საერთო ნიადაგიდან. ნუ ვინ მოიყვანს აქ საწინააღმდეგო საბუთად მყნობას. სხვა ხეზე შტომ შეიძლება იხაროს, მხოლოდ ახლოს ნათესავს ხეზე; მაგრამ თუ იგი ამყნეს სრულიად სხვა გვარს ხეზე, ვერც გაიზრდება და ვერც იხარებს. ნაწილი ერისა, რომელიც მოშორდა საერთო ეროვნულს ნიადაგსა, სწრაფად მიდის უკან-უკან, სუსტდება, ველურდება და ხდება მსხვერპლად იმ გამხრწნელი პროცესისა, რომელიც ერთმა მსწავლულმა რუსეთისამ დაახასიათა ამ ტერმინით: „мерзость запустѣнія“. დიაღ, განცალკევება ჰღუპავს ეროვნულს ხესაც და მისგან მოშორებულს ტოტებსაც...

## წერილი ფოთიდან

ქალაქის მომავალი არჩევნები.—მთავარ-მართებლის მოსვლა.

კიდევ რამდენიმე დღე და ძველი ქალაქის საბჭო განახლდება. ეს განახლება 8 სექტემბერს მოხდება. უნდა აირჩიონ ახალი ხმოსნები, ქალაქის თავი და გამგეობის ერთი წევრი.

ხმოსნებისა კი რა მოგახსენოთ და, რაც შეეხება გამგეობას, თამამად შეგვიძლია გთქვათ, რომ მოცილე არავინა ჰყავს, ამიტომ ისევ ძველები დარჩებიან.

ფოთის ქალაქის გამგეობამ უკვე შეადგინა კანდიდატთა სია და ამომრჩეველთა საცნობლად გამოაცხადა კიდეც. საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ წელს ქალაქის დასათვასებელი გადასახადის შეუტანლობისა გამო ამომრჩეველი ნაკლებია 1898 წელთან შედარებით. წელს სიაც ნაკლებია წარდგენილი. სიების განხილვის დროს 120 საკანდიდატო წერილიდან ქალაქის მოურავს ნ. ნიკოლაძეს არც ერთი საწინააღმდეგო ხმა არ ამოსვლია. საკანდიდატო წერილებში 284 ამომრჩეველისაგან დასახელებულია სულ ხმოსნების თანამდებობაზე კენჭის საყრელად 106 კანდიდატი; აქედან მეგრელი 48 კაცია, იმერელი 15, რუსი 14, გურული 13, სომეხი—7, ბერძენი და სხვა ეროვნებისა 9 კაცი.

პირველ სექტემბერს აქ მოვიდა კავკასიის მთავარ მართებელი, რომელმაც მოსვლისთანავე დაათვალიერა ქალაქი. ნავთ სადგურში დილის 4 საათზე, როდესაც კემი უნდა შემოსულიყო, ადგილობრივ დაწესებულებათა წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. დილის 5 საათზე კემიც მოადგა შუა ხანდაგს, სადაც მთავარ-მართებელს ქალაქის თავის მოადგილემ ბ-მა ი. ფანცხავამ პურმარილი მიართვა. მთავარ-მართებელმა ჯერ ნავთსადგური დაათვალიერა, ძალიან მოიწონა იგი და სთქვა: „ფოთის ნავთ-სადგური ბათუმისას აჯობებსო“ და შემდეგ ქალაქის დათვალიერებას შეუდგა. ინახულა სამკურნალო, დახურული ბაზარი და გამგეობის დარბაზი. დიდი ყურადღება მიაქცია ახალ გეგმაზე გამართულ ქუჩებსა და ამოკირულ არხებს.

რვა საათზე მთავარ-მართებელი სადგურისაკენ გაემართა, საიდანაც ტფილისისაკენ წავიდა. მატარებლის წასვლის დროს მთავარ-მართებელი გამოეთხოვა ქალაქის წარმომადგენლებს. ამ დროს გამგეობის წევრმა დ. მ. ერუაშვილმა მშვენიერი თაიგული მიართვა მისის ბრწყინვალების მეუღლის გარდასაცემად.

**ი. იანგთელი**

## წერილი თელავიდან

ცხენების მოპარვა.—ქურდობა

28 აგვისტოს სამაზრო გამგეობის ეზოში მორეკეს ცხენები. ეს ცხენები 13 მარტს დაუკარგავს ყაზახის მაზრის სოფ. პალექანის მცხოვრებს დურნიანცს. ბ-ნ დურნიანცს ჰყოლია ჯოგი დილიბოზის ჯიშის ცხენისა. ჯოგი ყოფილა სოფლის ახლო. მეჯოგეს ჯოგი ბაკში შეურეკია და თვითონ შინ წასულა პურისათვის; მინამ დაბრუნდებოდა, თორმეტი ცხენი მოუსხლეტიათ ჯოგისათვის და გაურეკიათ. სამი ცხენი უკანვე გამოქცევიათ, ცხრა-კი წაუყვანიათ. 13 მარტის აქეთ პატრონი დაეძებდა თურმე. აღმოჩენილა მთხრობელი, რომელსაც პატრონი მოპარულ ცხენების კვალზე დაუყენებია. 26 აგვისტოს პატრონს გომბორის იალაღზე უცვნია ცხენები, გამოქცეულა თელავს და აქედან 27 ურიადნიკი სამის ჩაფრით გაუყოლებია; ასულან იალაღზე, მაგრამ ჯოგი, რომელშიაც უცვნია ცხენები, იქ აღარ დახვედრიათ. გაჰყოლიან კვალს და მისწევიან ალაზნის პირას. ცხენები დაურჩევიათ ექვსი, ერთი გაყიდული გლეხისათვის წაურთმევიათ და შვიდი ცხენი 28-ს მორეკეს. აღმოჩნდა გამოკითხვიდან, რომ ეს ცხენები თავ. გ. რ. ჯ—ძეს გამოურთმევია მუღანლოს მცხოვრებ კასუმ ბაბაოღლისათვის. ცხენებს ჰქონია დამღა პატრონისა და ამ დამღაზე დაუკრავს მეიდველს თავისი დამღა.

საჭიროა შეიქმნას ისეთი პირობები, რომ ნაპარავ საქონლის გასაღება არ შეიძლებოდეს. მანამ ნაპარავ საქონლის გასაღება შესაძლებელია, ქურდობა მისი ხშირი იქმნება. კასუმ ბაბა-ოღლები უფრო მრავლდებიან და არა კლებულობენ. რაც ამ ერთ წელიწადში თელავის მაზრიდან მსხვილი საქონელი—ცხენი, ძროხა, ხარი, კამეჩი—დაიკარგა არც ერთ დროს არ დაკარგულა. ამ ერთი წლის განმავლობაში წვრილი ქურდობაც გამრავლდა, ვიდრე წინად ყოფილა. ეკკლესიების მტვრევა და ძარცვა ხომ ყველას აჯობებს! შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ქართველთა ცხოვრების ისტორიამ არ იცის იმდენი ეკკლესიების მტვრევა და ძარცვა იმ დროიდამაც, როცა მაჰმადიანები შემოესეოდნენ ხოლმე, რაც ამ ერთი წლის განმავლობაში ქართლ-კახეთში მოხდა.

რა არის ყველა ამის მიზეზი? ნუთუ საყურადღებო არ არის ყველა ამის გამოკვლევა?

**ნადიკვრელი**

## დაბა-სოფლები

**ასკანა** (გურია). 28 აგვისტოს აქ მოვიდა ოზურგეთის მაზრის უფროსი დაზარენკო და დაათვალიერა ის ადგილები, რომელიც უკანასკნელმა წყალდიდობამ ააოხრა. ასკანელების ზარალი დაზარალებულთა ჩვენებით ასი-ათას მანეთს აღემატება. მაზრის უფროსმა ურჩია საზოგადოებას, აერჩია ხუთი კაცი ზარალის გამოსარკვევად, რაც მაშინვე აასრულეს. ერთმა კაცმა სთხოვა მაზრის უფროსს, ნება მიეცა აერჩიათ კომიტეტი დაზარალებულთა სასარგებლოდ ფულის მოსაგროვებლად, ამასთან აცნობა, რომ უბედურების მეორე დღესვე შეიკრიბა ცოტაოდენი ფული და გადაეცა დროებით არჩეულ სილოვან თალაკვაძესაო. მაზრის უფროსმა კომიტეტის არჩევა სასურველად სცნო და იქავე აირჩიეს კომიტეტის წევრებად: მღ. ექვთიმე თალაკვაძე, მღ. სარდიონ ჭინჭარაიშვილი, კაპიტონ ასათიანი, ვლადიმერ სიამაშვილი, სილოვან თალაკვაძე და ნიკო ბებელაშვილი.

რადგანაც გასულის წლის მოუსავლობისა და ამა წლის წყალ დიდობის გამო ხალხი მეტად შევიწროვებულია, ასკანელების შემოსავალს ეხლა მხოლოდ ადესის ღვინო-და შეადგენს, რომელსაც არაყად ჰხდიან ხოლმე. ამიტომ ხალხმა სთხოვა მაზრის უფროსს, მიეცეს შეღავათი არაყის ბაჟში, რადგან ეხლანდელ მომატებულ ბაჟის გამო მწარმოებელს აღარაფერი რჩება. მაზრის უფროსი დაჰპირდა, თუ შესაძლებელიაო ვიშუამდგომლებო.

მაზრის უფროსმა მოსვლისთანავე გვაუწყა ფრიად სასიხარულო ამბავი, რომელსაც ასკანელები ეს მეხუთე წელიწადია, ციურ მანანასავით მოველოდით. უფროსმა სკოლის მზრუნველს გამოუცხადა, რომ თქვენი შუამდგომლობა ასკანის ორ-კლასიანი საქალებო სკოლის შესახებ უმაღლესმა მთავრობამ შეიწყნარა და წლიურად 500 მ. დაუნიშნაო; აუხსენით საზოგადოებას, რომ ეხლავე თავდარიგს შეუდგესო. საზოგადოებამ აირჩია კომიტეტი საქალებო სკოლის შენობის ასაგებად და ყოველისავე საქმის მოსაწესრიგებლად: ანტონ ჩხაიძე, ალექსანდრე სიამაშვილი, მიხეილ ჭელიძე, ვასილ ნინიძე და იგნიანე ცქვიტინიძე. ამ სკოლისთვის ერთ წევრს მოუგროვებია 200 მ., რომელიც ინახება სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილებაში. იმედი გვაქვს, თუ კომიტეტის წევრებმა შესაფერი შენობა იშოვეს დროებით სკოლის მოსათავსებლად, ამ სექტემბრიდანვე გვექნება საქალებო სკოლა.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ყველა იმ დაწესებულებათა და პირთ, რომელთაც თანაგრძნობა და სამძიმარი გამომიცხადეს ჩემის ძვირფასის მეუღლის ავქსენტი ცაგარლის გარდაცვალების გამო დეპეშით, წერილებით და სიტყვიერად; აგრეთვე ყველა მათ, ვინც დაესწრო განსვენებულის დასაფლავებას.

**ნატალია გაბუნია-ცაგარლისა**

## უცხოეთის წვრილი ამბები

**სიამის ამბები.** ინდოეთიდან მოსულმა უკანასკნელმა ფოსტამ დაწვრილებითი ცნობები მოიტანა სიამში მომხდარ არეულობის შესახებ.

განაპირა სოფლების მცხოვრებლებს უარი უთქვამთ, გარდასახადს არ მოგცემთო; სიამის მთავრობის მოხელეთაც ყინი მოსვლიათ, როგორ თუ გარდასახადს არ მოგვცემთო, და მცხოვრებლების წვალება და ცემა დაუწყიათ.

მაგრამ მოხელეთ სად შეეძლოთ ხალხთან ბრძოლა, თუ სხვას არ დაიხმარებდნენ და მეზობელი, სიამელების მონათესავე, ხალხი—შანები--მოუწვევიათ დასახმარებლად. შანელები კარგად შეიარაღებულნი მოსულან, დაჰრევიათ სიამელებს, გაუწყვეტიათ ამათი ჯარიც, რომლიც იმათ წინააღმდეგ გამოსულა, და ქალაქ მუანგ-პროის დაჭერაც განუზრახავთ. ამ ქალაქში ბლომად სცხოვრობენ თურმე ევროპიელები, რამდენიმე მისიონერიცაა თურმე აქ-ქრისტიანეთა რჯულის მქადაგებელნი. მეორე ქალაქში—ლაკუს—მცხოვრებთ ვერ შესძლეს მუანგ-პროიში შესვლა, რადგან ეს ქალაქი გარშემორტყმულია თურმე შანე-

ბითა და იქიდანაც არავითარი ამბავი არ მოდის. შესაძლებელია მუანგ-პროი შანებმა კიდეც ჩაიგდეს ხელში და აქ მცხოვრებლებიც სულ ერთიანად ამოწყვიტეს.

მეორეს წყაროდან სხვა ამბები მოდის: მუანგ-პროი თურმე უვნებლადაა, მცხოვრებლები ყველა კარგად არიან და შანები მხოლოდ იმისათვის მოსულან, რომ სიამს მოხელეთ ებრძოლონ და ხალხი შევიწროებისაგან დაიხსნას.

**

**ნასწავლი ძაღლი.** ერთი ინგლისელი, ლორდი ევბიური, ფრიად საყურადღებო ამბავს მოგვითხრობს ჟურნალს „ლონდონ მაგაზინ"-ში, იმის შესახებ, თუ როგორ უსწავლებია თავისს ძაღლისათვის კითხვა. ჯერ აუღია ორი თაბახი ქაღალდი და ერთზე დაუწერია სიტყვა „ჭამა", მეორე-კი სუფთად დაუტოვებია. დაწერილი ქაღალდი იმ თეფშზედ დაუფარებია, სადაც პური და ხორცი იყო გამზადებული, ცარიელი ქაღალდით-კი ცარიელი თეფში დაუფარებია.

ათი დღე უვარჯიშებია ამ გვარად და ჭკვიანი ცხოველი ამ ხნის შემდეგ უკვე არჩევდა თურმე, რომელი ქაღალდი იყო საიმისო. ლორდ ევბიურის ახლა სხვა ქაღალდები აუღია და ზედ დაუწერია: „სმა", „ჭამა", „ძვლები", „სეირნობა" და სხვა. ამ ნაირის ვარჯიშობით ძაღლი იქამდე მისულა, რომ სწორედ იმ თაბახს მიუტანდა პატრონს, რომელზედაც ის იყო დაწერილი, რაც ძაღლს ენატრებოდა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 სექტემბერი

**პეტერბურგი.** ნიკოლაევსკის რკინის გზით პეტერბურგს დაბრუნდა და თავის თანამდებობაში ჩადგა საშინაო საქმეთა მინისტრი სტატს-სეკრეტარი პლევე.

**ლონდონი.** გაზ. „სტანდარდ"-ს დეპეშით ატყობინებს საკუთარი კორესპონდენტი შანხაიდან: „გუშინ ჩენგტუფუში შემოცვივდნენ შეიარაღებული „მოკრივენი". რამდენიმე კაცი მოჰკლეს, რამდენიმეც ტყვედ წაიყვანეს. მაღაზიები დაჰკეტეს. ამბობენ, გასაჭირი მდგომარეობაა".

**ვილნო.** საიმპერატორო მატარებლიდან გამოსვლის დროს შაჰს მიეგება გუბერნატორი ფონ-ვალი, კორპუსის უფროსი და გენერლები. შაჰი ყველას მიესალმა, საპატიო დარაჯს ჩაუარა და პირველ საათს ქალაქ მინსკზე წავიდა, რომ იქიდან კურსკს მივიდეს.

**კურსკი.** დღეს დასრულდა დიდი აღლუმი დიდის იერიშით, რომელიც მიიტანა სამხრეთის ჯარმა ჩრდილოეთის ჯარის ბანაკებზე. ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე-მემკვიდრე, დიდი მთავარნი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე, ნიკოლოზ მიხეილის ძე და ამალა გამოვიდნენ სადგურ რიშკოვოდან და მოსკოვის ჯარის მარცხენა მხარესთან მივიდნენ, სოფ. მაკვასთან. ხელმწიფემ დაათვალიერა მე-13 და მე-17 კორპუსები. „ურა"-ს გაიძახოდა ჯარი. მშვენიერი ამინდი უფრო ამშვენიერებდა საომრად გამზადებულ ჯარის ბანაკს. ხელმწიფის მობრძანების დროს, სამხრეთი ჯარი, რომელიც მდინარე სეიმის გაღმა გასულიყო, იერიშით მიდიოდა მოსკოვის ჯარის ბანაკზე, საიდანაც მე-8 კორპუსი და ცხენოსანთა დივიზია გაეგზავნათ იმ ჯარის მარჯვენა მხარისაკენ, სადაც ასი ზარბაზანი იყო გამართული, სამხრეთიდან-კი მე-10 დივიზია მიდიოდა. დილის მეთერთმეტე საათს საერთო იერიში გაიმართა სოფ. კასტორნაიას სიმაღლეებზე. ჯარი შესამჩნევის ურხაობით მიდიოდა. 10 საათსა და 45 წუთს ხელმწიფემ უბრძანა იერიშის შეწყვეტა. ხელმწიფემ ჩაუარა ჯარებს, რომელთაც ჯერ არ ჰქონდათ ბედნიერება მისის უდიდებულესობის ხილვისა; თან ახლდნენ: დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, ჩრდილო ჯარების უფროსი, დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე და სამხრეთისა—სამხედრო მინისტრი გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი. ჯარი „ურა"-ს ძახილით ეგებებოდა ხელმწიფეს. აუარებელი ხალხი ჯერ ადრე დილით გამოსულიყო კურსკიდან და ახლო ადგილებიდან და ამათაც შეუერთეს ჯარის ხმებს თავიანთი ხმა სიხარულისა საყვარელ ხელმწიფის დანახვაზე. ჯარის დათვალიერების შემდეგ ხელმწიფე და საიმპერატორო გვარეულობისანი წავიდნენ მემამულის ტულუბეევისას, სადაც მისს უდიდებულესობას პურ-მარილით მიეგება თვითონ ტულუბეევი, რომელსაც მშვენიერი, ყვავილებით მორთული თაღი გაემართა შესავალში. იქვე მინდორზე უმაღლესი საუზმე იყო გამართული, რომელზედაც მიწვეულ იყვნენ ჯარის უფროსები და ოფიცრები ახლო დაბინავებულ ჯარებისა. ოთხი ათასამდე ოფიცერმა მოიყარა თავი. ხელმწიფე იმპერატორმა სადღეგრძელო მიირთვა იმ ჯარებისა, რომელთაც აღლუმში მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული. ამის პასუხად საერთო „ურა"-მა დაიგრგვინა. საუზმის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი, მემკვიდრე, დიდი მთავარნი და ამალა ეტლებით სადგურ რიშკოვოს წავიდნენ.

**პენზა.** შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა, თავ. სვიატოპოლკ-მირსკიმ ერთი დღე დაჰყო აქ და მერე სადამოს მატარებლით გზა განაგრძო.

**კიევი.** აგვისტოში ამინდი ხელს უწყობდა ჭარხლის მოსავალს ჩრდილო-სამხრეთის მხარეს, ამიტომ ძირიც გაუმსხვილდა ჭარხალს და სიტკბოც მეტი ჩაუდგა. კიევის გუბერნიაში დაიწყეს კიდეც ჭარხლის ამოთხრა და ქარხნებში მოზიდვა. მოსავლის აღება იმითაა შეხერხებული, რომ მუშა ხელი ცოტაა.

4 სექტემბერი

**კონსტანტინეპოლი.** დორანდო-ტუბინის ვალში მექვსედ შესატანი ფული არ წარმოუდგენიათ. გუშინ იყო ამის ვადა.

**ვაშინგტონი** ძლიერ ცივი ამინდი ხელს უშლიდა ბამბის დამწიფებას საშუალო და დასავლეთ ნაწილებში, მაგრამ მოსავალს მაინც კარგად იღებენ მთელს ბამბის მოსავლის მხარეს.

**პეტერბურგი.** ოდესაში 29-სა, 30-სა და 31 აგვისტოს კიდევ ექვსი საეჭვო ავადმყოფი აღმოაჩინეს. 28 მაისიდან ამ გვარი შემთხვევა იყო სულ 24; ავადმყოფთაგან ექვსი გარდაიცვალა. დაარსებულია სასანიტარო კომისიები შავის ზღვის ნაპირა ადგილებში ხერსონისა, ბესარაბიისა, ტავრიჩესკისა და ეკატერინოსლავსკის გუბერნიებისა და დონის მხრის მაზრებში; სევასტოპოლისა, კერჩისა და ნიკოლაევსკის ქალაქებში, აგრეთვე რკინის გზაზედ სადგურ ოდესიდან სადგურ რაზდელნაიამდე. ექიმების მხრით ზედამხედველობა გაძლიერებულია ოდესის ახლო მდებარე ადგილებში. ოდესიდან მიმავალ სახალხოსა და საქონლის გემებზე სანიტარულ წესების დასაცველად სასტიკი საშუალებანია მიღებული; ხალხი და საქონელი უნდა დაათვალიერონ. გემების პატრონები დროებით მოვალენი არიან ექიმები დაიქირაონ, რომელნიც გუბერნატორმა უნდა დაამტკიცოს. შავი ზღვის ყველა ნავთ-სადგურს გემები სანიტარულის მხრით უნდა გასინჯონ.

**რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი**

# გამოსადეგი ცნობანი

**პეტერბურგის ბირჟა 1 სექტემბერს**

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | 94,05 | |
| ბერლინზე 100 მარკაში | $46,02^1/_2$ | |
| პარიზზე 100 ფრანკში | — | |
| ლონდონზე ჩეკები | 94,75 | |
| ბერლინზე „ | 46,25 | |
| პარიზზე „ | — | |
| ბირჟის დისკონტი | $4^1/_2$—$6^1/_2$% | |
| 4% სახელმწიფო რენტა | 97 | მყიდ. |
| 4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. | 99 | „ |
| $4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა. | — | |
| 5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 471 | გაყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ ბილ. 1866 წ. | 358 | „ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა | 295 | „ |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | $87^3/_8$ | „ |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — | |
| ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც. | $89^5/_8$ | „ |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა | — | |
| ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც. | — | |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — | |
| ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია | 179 | „ |

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს**—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

**ბაქოს**—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. 1) ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—სადამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

**ბორჯომს**—№ 7—დღის 1 ს.30 წ.( ს.28 წ.)

**ყარსს**—№ 74/75 სადამ. 8 ს. [illegible] წ. (9 ს. 28 წ.).

**ტფილისში მოდის:**

**ბათუმიდან**—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—სად. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

**ბაქოდან**—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. ამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

**ბორჯომიდან**—№ 8—სად. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

**ყარსიდან**—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ტფილისისაკენ**—1) № 2 სწრაფი—დამი-10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—სადამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

**ბ) ქუთაისიდან გამოდის:**

**ტფილისისაკენ**—1) დამის 12 ს. 30 წ (1 ს. 28 წ.); 2) დამის 2 ს. 50 წ.(3 ს.48 წ).

**ბათუმისაკენ**—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) დამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

**შორაპნისაკენ**—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

# განცხადებანი

ახალგაზდა მანდილოსანი

კარგად მცოდნე **ფრანგულის ენისა**,—როგორც თეორიისა, ისე პრაქტიკისა,—ეძებს **გაკვეთილებს**.

მოლაპარაკება ყოველ დღე შეიძლება დილის 10-დან 1 საათამდე. თეატრის ვიწრო ქუჩა, სახლი № 24, სადგომი სანოვიჩისა. ქ-ნი **გიგგირი**. (4—1)

---

მზად არის და მზადდება **ყურძნის საჭაჩავები, საჭყლეტები**, გრეგუარები და იმის ნაწილები. ფასები ხელ-მისაწვდომია.

ლით. და სამეურ. იარაღის ქარხანათა საზოგადოება **ინჟ. გ. შ. იარალოვისა და ამხ.**-სა ტფილისში, ყვირილის ქუჩაზე (სადგურის მახლობლად). (3—394—3)

---

**წიგნის მაღაზია**

## გუტენბერგი

(ლორის მელიქოვის ქ. № 11)

**იყიდება სახელმძღვანელოები და სხვა-და-სხვა წიგნები.**

ვინც ბევრ წიგნს იყიდის ერთბაშად, პროცენტები დაეთმობათ. (3—3)

---

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

## კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი | — | 10 |
| იოსებ დავითაშვილის ლექსები | — | 50 |
| დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო | 1 | — |
| იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე | 1 | 50 |
| ი. ჭავჭავაძის I ტომი | — | 70 |
| იგივე II და III ტომი თითო | — | 60 |
| იგივე IV ტ. ორ წიგნათ | — | 80 |
| სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა | — | 10 |
| სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა | — | 40 |
| აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო | — | 60 |
| რაფ. ერისთავის I ტომი | — | 60 |
| საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი | — | 20 |
| სამზარეულო—ქართული და ევროპული საჭმელებისა | 1 | 20 |
| აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა | — | 50 |
| სიბრძნე ბალავარისა | — | 30 |
| აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში | — | 15 |
| ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა | 1 | 50 |
| რძე, მისივე | 1 | 50 |

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

---

ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში მიმდინარე წლის ენკენისთვის ოც რიცხვიდან დაიწყება მისაღები ეგზამენები პირველ და მოსამზადებელ კლასებში. ადგილობრივი სამეურნეო საზოგადოების თავისუფალი სტიპენდიები არის. თხოვნის მიღება გათავდება 19 ენკენისთვეს. თხოვნასთან უნდა იქნეს გამოგზავნილი შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორისაგან; ბ) ყვავილის და ჯანმრთელობის მოწმობა; გ) სიღარიბის მოწმობა, თუ სტიპენდიას თხოულობს; დ) წოდების მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან, თუ მთხოვნელი თავადი ან აზნაურია.

სასწავლებელში ღებულობენ მხოლოდ ქუთაისის გუბერნიის მკვიდრ მცხოვრებლების შვილებს.

სასწავლებლის დრ. მმართველი

(2—2) **ნ. მკურნალი**

---

საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

## დეპო

(მუხრანიანთ ქუჩიდან) და

## მაღაზია

(სასახლის ქუჩიდან)

ტელეფონი № 741.

გადავიდა ერთ შენობაში „სევერნი ნომრების" ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინის პროსპექტის ახლო), ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество фармацевтовъ, ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, фармацевтика. (0—17)

---

დიდი ვერცხლის მედალი

[illegible] 1901 წლის [illegible] გამოფენა

## ახალი სახურავი,

რომელზედაც პატენტია აღებული

ფაბრიკა და სეცინკო ქარხანა

## ი. შელენგოვსკის

და

## ამხანაგობისა

ბათუმში.

[illegible]

[illegible]

პლასტინები და სახურავის ყველა ნაწილები ცინკით მოკალულ რკინისა.

პრეის-კურანტი მოთხოვნისათანავე მსურველთ უფასოდ ეგზავნება.

**ამხანაგობის წარმომადგენელნი:**

ტფილისში **გ. მელიქსეტოვი**...

(ერევნის მოედანზე № 25)

ქუთაისში **ვ. ჭილაძე** (30—20)

(ტფილ. ქუჩა სეკვით. სახ.)

Дозв. ценз. Тифлисъ, 4 Сентября, 1902 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).